ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01/02-05-143

თბილისი

27 სექტემბერი 2016 წელი

მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით.

ერთის მხრივ, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური (შემდგომში - "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, **მელიტონ ბენიძის** სახით და, მეორეს მხრივ შპს „იუ-ჯი-თი" (შემდგომში – "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენ. დირექტორის **ერმილე სულაძის** სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", **„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე**, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.ხელშეკრულების საგანია პორტატული კომპიუტერების (ლეპტოპები) შესყიდვა დანართ №1-ში მითითებული რაოდენობების, ტექნიკური მახასიათებლებისა და ფასების შესაბამისად (**CPV-30213100**), რომლებიც ჩაანაცვლებენ შემსყიდველის კუთვნილ პორტატული კომპიუტერებს (დანართი№2).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 შემსყიდველის უფლება-მოვალეობები:

2.1.1. უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი, კეთილსინდისიერი და დროული შესრულება.

2.1.2. ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ოდენობით გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება და მიაწოდოს დანართი №2-ით განსაზღვრული ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

2.1.3. ვალდებულია დანართი №2-ით გათვალისწინებული ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკის გადაცემისას უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენა და გაფორმება;

2.2 მიმწოდებლის უფლება-მოვალეობები:

2.2.1. ვალდებულია, განახორციელოს ხელშეკრულების დანართი №1-ით მითითებული საქონლის მიწოდება.

2.2.2.ვალდებულია დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენა;

2.2.3.უფლებამოსილია, მიიღოს ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკა და მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და ოდენობით;

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველ ორგანიზაციაში გამოყოფილ ინსპექტორების ჯგუფს უფლება აქვს საქონლის მიწოდებისას განახორციელოს მიწოდებული საქონელის ხარისხის კონტროლი.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტორების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

3.3. მიწოდებული საქონლის ხარისხზე კონტროლს განახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი ზურაბ პრუტსკოი (პ/ნ 60001050865).

4. მიწოდების ვადები.

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდება მოახდინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან დანართ №1-ში მითითებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ორმხრივი ხელმოწერის შემდეგ. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება საქონლის მიწოდებისას.

5.2. საკუთრების უფლება და საქონლის დაღუპვისა თუ დაკარგვის რისკი მიმწოდებლიდან შემსყიდველზე გადადის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მომენტიდან.

5.2 დანართი №2-ით გათვალისწინებული ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკის გადაცემა მიმწოდებლისათვის განხორციელდება მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის პარალელურად, ან დანართი №1-ით გათვალისწინებული პროდუქციის სრულად მიწოდებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში, რაზედაც გაფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი.

5.3. მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი შემსყიდველის მხრიდან იქნება საფინანსო სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი იოანე ლუაშვილი (პ/ნ 13001000082).

6. გარანტია

6.1. მიწოდებულ საქონელზე მწარმოებლის საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საქონლის მიწოდების დღიდან და მოქმედებს დანართი №1-ში მითითებული ვადების განმავლობაში.

6.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ქარხნული წარმოების, (ქარხნული შეფუთვით) არ იქნება დაზიანებული, შესაბამისობაში იქნება №1 დანართსა და ტექნიკურ დავალებაში აღნიშნულ მაჩვენებლებთან და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს საგარანტიო პერიოდში აღმოჩენილი ნებისმიერი ხარვეზის (დეფექტის) აღმოფხვრა, ასევე დაზიანებული ან/და წუნდებული საქონლის შეკეთება ან შეცვლა ახლით შემსყიდველის მხრიდან შეტყობინების მიღებიდან 25 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 საქონელზე საგარანტიო მომსახურება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ დაცული იქნება საქონლის ექსპლუატაციის პირობები;

7. ხელშკრულების ღირებულება და ანგარიშსწორება.

7.1. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 31,500.00 (ოცდათერთმეტიათას ხუთასი ლარი და 00 თეთრი) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გათვალისწინებით (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება"), საიდანაც **1,385.00 (ერთიათას სამასოთხმოცდახუთი ლარი და 00 თეთრი)** ლარი ანაზღაურდება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკის (საბაზრო ღირებულებები დადგენილია სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული 2016 წლის 16 აგვისტოს №004871416 ექსპერტიზის დასკვნით) მიმწოდებლისათვის გადაცემით, შემსყიდველის მხრიდან გადასახდელი ფულადი თანხა განსაზღვრულია **30,115.00 (ოცდაათიათას ასთხუთმეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარით.

7.2. ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო.

7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

7.4. შემსყიდველის მხრიდან გადასახდელი ფულადი თანხის, **30,115.00 (ოცდაათიათას ასთხუთმეტი ლარი და 00 თეთრი)** ლარის ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

8. ფასები

8.1 ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულების დამდე არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

10.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბაჟო-ტარიფო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4. ფორს-მაჟორული პირობების გათვალისწინება რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 4.1. ან/და 6.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.2 შემსყიდველის მხრიდან ანგარიშსწორების/ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკის მოწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი (დაგვიანებით გადახდილი) თანხის/მოუწოდებელი ჩასანაცვლებელი კომპიუტერული ტექნიკის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

12.3 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს ჯარიმა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.4 იმ შემთხვევაში თუ 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13. სხვა პირობები

13.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

13.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართლო.

13.3 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

13.4 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში, რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 10 დღით ადრე.

13.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.6 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს/შემსყიდველს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური	*შპს „იუჯი-თი“*
თბილისი, თამარ მეფის გამზ №14	*ქ.თბილისი ჭავჭავაძის გამზ. №17ა*
ს/კ 204534058	*ს/კ 204892964*
ტელ: (+995 32) 292-00-55	*ტელ: (+995 32)222-05-05.*
სახელმწიფო ხაზინა	*სს საქართველოს ბანკი*
კოდი TRESGE22	*ბანკის კოდი: BAGAGE22*
სახაზინო კოდი	*ა/ა: GE88BG0000000261644601*
707847519	
მელიტონ ბენიძე	**ერმილე სულაძე**
დირექტორი	გენ. დირექტორი

დანართი #1 , # 01/02-05-143 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტი	ფირმა და მოდელი და ტექნიკური მახასიათებლები	განზ. ერთ.	რ-ობა	ერთ. ფასი	საერთო ფასი	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი	საგარანტიო პერიოდი
1	პორტატული კომპიუტერი (ლეპტოპი)	**HP ProBook 450 G3 / UMA i3-6100U / 15.6 HD SVA AG / 4GB DDR4 1D / 500GB 7200 / DOS / DVD+-RW / Webcam / kbd TP / Intel AC 1x1+BT/** HP Notebook Mobility Kit (Bag&Mouse)	კომპლექტი	20	1575.00	31500.00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #140ა, მე-3 სართ.	1 წელი
						ჯამი:	31,500.00 ლარი		

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის
დირექტორი

მელიტონ ბენიძე

შპს "იუ-ჯი-თი"-ს
გენ. დირექტორი

ერმილე სულაძე

დანართი #2 , # 01/02-05-143 ხელშეკრულებასთან

#	საქონლის დასახელება	განზ. ერთ.	რ-ობა	ერთ. ღირებულება
1	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული/პროგრამულად არ ჩაირთო ი/ნ 0649	ცალი	1	60.00
2	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0654	ცალი	1	65.00
3	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0655	ცალი	1	80.00
4	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0656	ცალი	1	80.00
5	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0667	ცალი	1	80.00
6	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0668	ცალი	1	80.00
7	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0676	ცალი	1	65.00
8	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0679	ცალი	1	80.00
9	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0692	ცალი	1	80.00
10	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0693	ცალი	1	65.00
11	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0694	ცალი	1	80.00
12	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0695	ცალი	1	65.00
13	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული/პროგრამულად არ ჩაირთო ი/ნ 0698	ცალი	1	55.00
14	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/ეკრანი დაზიანებული ი/ნ 0706	ცალი	1	30.00
15	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0731	ცალი	1	80.00
16	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0744	ცალი	1	80.00
17	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული,ჩაირთო ი/ნ 0748	ცალი	1	80.00
18	ნოუთბუქი Compaq HP 6720s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული ი/ნ 1745	ცალი	1	70.00

19	ნოუთბუქი Probook HP 4540s ექსპლუატაციაში ნამყოფი/დაზიანებული/პროგრამულად არ ჩაირთო ი/ნ 2081	ცალი	1	70.00
20	ნოუთბუქი Probook HP 4540s ექსპლუატაციაში ნამყოფი/ეკრანი დაზიანებული ი/ნ 2103	ცალი	1	40.00
			ჯამი:	1,385.00

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

მელიტონ ბენიძე

შპს „ფუ-ჯი-ოი"

ერმილე სულაძე

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების შესახებ

№01/02-05-143 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილესთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ქვემოთ ხელისმომწერი პირები ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დირექტორი:

– მ. ბენიძე

საფინანსო სამმართველოს უფროსი:

– ნ. გოგოჭური

შესყიდვების კოორდინატორი:

– ა. მამუჩიშვილი

სამეურნეო უზრუნველყოფის სპეციალისტი:

– ი. ლუაშვილი

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი:

– ზ. პრუტსკოი